

# რეგიონული განვითარების პოლიტიკის საფუძვლები

## ელექტრონული პლატფორმით სარგებლობის ინსტრუქცია

„რეგიონული განვითარების პოლიტიკის საფუძვლები“ კურსის ტექნიკური მხარდაჭერისთვის გამოყენებულია კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის დისტანციური სწავლების პლატფორმა [www.ctconline.ge](http://www.ctconline.ge) (MOODLE).

მას შემდეგ, რაც გაივლით ავტორიზაციას, თქვენ შეხვალთ თქვენს პირად გვერდზე, სადაც მოცემულია კურსის სილაბუსი და ინსტრუქცია. იქვე განთავსებულია მთელი კურსი, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- ✚ პრე ტესტი
- ✚ სასწავლო მასალა
- ✚ პოსტ ტესტი
- ✚ სერტიფიკატი

1. **პრე ტესტი** - მოიცავს 10 კითხვას. თითოეულ კითხვას აქვს სავარაუდო პასუხები. კურსის სასწავლო მასალებზე დაშვების მისაღებად აუცილებელია შეასრულოთ პრე ტესტი. პრე ტესტს არ აქვს მინიმალური ზღვარი, რომელიც უნდა გადალახოთ, აუცილებელი პირობა მხოლოდ მისი შევსებაა.

გაითვალისწინეთ, რომ პრე ტესტის შესავსებად გაქვთ მხოლოდ 1 მცდელობა.

ტესტის შესავსებად დააჭირეთ „ტესტის დანყება“-ის ლილაკს და მიჰყევით ინსტრუქციას.

2. **სასწავლო მასალა** - შედგება 10 სალექციო თემისგან, რომელთაგან თითოეული მოიცავს 1) სასწავლო ვიდეოს 2) საკითხავ მასალას და 3) თვითშეფასების კითხვებს.

სასწავლო ვიდეოების ხანგრძლივობაა საშუალოდ 10 წუთი.

საკითხავი მასალები, შექმნილია სპეციალურად კურსისთვის და ეძღვნება სხვადასხვა თემას.

თვითშეფასების კითხვები შედგება 5 კითხვისგან, რომელიც მოიცავს მხოლოდ იმ სალექციო თავს, რომლის ქვეშაც ისაა განთავსებული.

გახსოვდეთ, თვითშეფასების კითხვებს არ აქვს მინიმალური ზღვარი, რომელიც უნდა გადალახოთ, თუმცა იმისათვის, რომ წვდომა გქონდეთ შემდეგ სალექციო მასალებზე აუცილებელი პირობაა მისი შევსება.

*გახსოვდეთ, კურსის 10 სალექციო თემა განთავსდება შემდეგი განრიგის მიხედვით:*

თემა 1. ძირითადი კონცეფციები და ტერმინები	23 დეკემბერი 2019
თემა 2. რეგიონული განვითარების პოლიტიკის თეორიული საფუძვლები	25 დეკემბერი 2019
თემა 3. ევროკავშირის რეგიონალური განვითარების პოლიტიკა	6 იანვარი 2020
თემა 4. ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები	8 იანვარი 2020
თემა 5. ევროკავშირის პოლიტიკა არაწევრი ქვეყნების რეგიონული განვითარების მხადაჭერის სფეროში	13 იანვარი 2020
თემა 6. მრავალდონიანი მმართველობა	15 იანვარი 2020
თემა 7. მრავალდონიანი მმართველობისა და ინტერსექტორული თანამშრომლობის ინსტრუმენტები	20 იანვარი 2020
თემა 8. რეგიონული განვითარების პოლიტიკის ტერიტორიული საფუძვლები საქართველოში	22 იანვარი 2020
თემა 9. რეგიონული განვითარების პოლიტიკა საქართველოში (ზოგადი დახასიათება)	27 იანვარი 2020
თემა 10. რეგიონული განვითარების ძირითადი ინსტიტუტები და ინსტრუმენტები საქართველოში	29 იანვარი 2020

3. **პოსტ ტესტი** - მოიცავს 10 შეკითხვას, შესაძლო სავარაუდო პასუხებით. იმისათვის რომ მიიღოთ სერტიფიკატი აუცილებელია პოსტ-ტესტის კითხვების მინიმუმ 70%- სწორად გასცეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ, რომ პოსტ ტესტის შევსების მცდელობები შეზღუდულია და სულ გაქვთ 3 მცდელობის შესაძლებლობა.

**პოსტ ტესტი გაიხსნება 29 იანვარს და ხელმისაწვდომი იქნება 10 თებერვლის ჩათვლით.**

4. **სერტიფიკატი** - პოსტ ტესტის წარმატებით დასრულების შემდგომ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებთ სერტიფიკატს.

**გისურვებთ წარმატებას!**